ურთიერთშეთანხმება

(კონსოლიდირებული ტენდერი CON160000044)

(№350 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დამატება „დანართი №1“)

ქ. მარნეული 19 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა, **მუნიციპალიტეტის გამგებლის მერაბ თოფჩიშვილის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „თეგეტა მოტორსი“** (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის სახით , ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 ოქტომბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული საბურავების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე „2016-2017 წლების განმავლობაში საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის №1453 განკარგულების შესაბამისად, მხარეთა შორის 2016 წლის 13 დეკემბერს გაფორმებული **№350** სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მე–4 მუხლის 4.1. პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4.1. *„მიმწოდებელი“ აწვდის „შემსყიდველს“ საქონელს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.*

2. შეთანხმების მოქმედება

2.1 წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს მასზე ხელმოწერის დღიდან.

2.2 შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულებასთან ერთად.

2.3 ხელშეკრულების სხვა პირობები რჩება უცვლელი.

2. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობა ს/კ: 234 232 149 მის: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N73 ტელ: 599269222, 599857272.	შპს „თეგეტა მოტორსი“ ს/კ: 202 177 205 მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N5 ტელ: 224 44 44; 599 09 09 10. ბანკი: სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი TBCBGE22 ა.ა. GE80TB 0600 0000 2446 7853
მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი	გენერალური დირექტორი თემურ კოხოძე